იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრის მოტომე ტაკისავას ვიზიტის შედეგი საქართველოში

30 ივნისი, 2017

1. 26-28 ივნისს, იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრი მოტომე ტაკისავა ეწვია საქართველოს და მთავრობის წარმომადგენლებთან გაცვალა აზრები. ამ შეხვედრების შედეგი იხილეთ ქვემოთ:

1 საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ბატონ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრა

27 ივნისს, იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრი მოტომე ტაკისავა დაესწრო ჩქაროსნული მაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის გახსნის ღონისძიებას. აქვე მან გამართა ოფიციალური შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან. იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრმა მოტომე ტაკისავამ განაცხადა, რომ წელს აღინიშნება იაპონია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავი და ხაზი გაუსვა, რომ იაპონია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობას, რომელიც იზიარებს ისეთ ფუნდამენტალურ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. აგრეთვე აღნიშნა, რომ იაპონია მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის. პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა იაპონიას მხარდაჭერისთვის (აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული მაგისტრალის ჩათვლით და დასძინა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარება სასიხარულოა. ასევე აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ჯანელიძის იაპონიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან კიშიდასთან, და აგრეთვე იაპონიის მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან.

ამის გარდა, საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრმა მოტომე ტაკისავამ შეხვედრა გამართა ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების მინისტრთან ზურაბ ალავიძესთან. მხარეებმა იმსჯელეს მომავალში იაპონიის მხრიდან ეკონომიკური მხარდაჭერის შესახებ.

2 ოფიციალური სადილი საგარეო საქმეთა მინისტრთან, მიხეილ ჯანელიძესთან

28 ივნისს გაიმართა ოფიციალური სადილი იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრ მოტომე ტაკისავასა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ მიხეილ ჯანელიძესთან. ივნისის დასაწყისში საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის იაპონიაში ვიზიტის შემდეგ გადაწყდა დაიწყოს მოლაპარაკება ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შესახებ და ასევე იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო მოთხოვნების გამარტივებასთან დაკავშირებით. ამ ორი მნიშვნელოვანი მომენტის გარდა, მხარეებმა აზრი გაცვალეს ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების შესახებ.



3 ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიშვილის იმპერატორის ორდენით დაჯილდოების ცერემონია (ლენტით დამშვენებული ამომავალი მზისა და ოქროს სხივების ორდენი)

27 ივნისს, იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრმა მოტომე ტაკისავასამ გამართა ქართველი პრიმა-ბალერინას, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიშვილის დაჯილდოების ცერემონია.

მან ასევე განიხილა ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროში ურთიერთობების განვითარების საკითხი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან ბატონ მიხეილ გიორგაძესთან.

-
-